ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7583145

ნომერი: AR11102647

თარიღი : 01.08.2025

გაცემის თარიღი : 07.08.2025

გაცნობის თარიღი : 07.08.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 164;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ტალიაშვილი პ/ნ 01005030351
- თბილისი ნორიოს აღმ. N 20

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ქართული ფილმის განვითარების ფონდი; შპს "აბა და კომპანია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202274412; 202051037;
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ქართული ფილმის განვითარების ფონდი; შპს "აბა და კომპანია"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 202274412; 202051037;

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 25210.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1784.23
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 37.63

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 31.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5.88
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 16.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ ქ.N164–ში არსებული შენობა–ნაგებობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, მდავით აღმაშენებლის გამზ ქ.N164–ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის VI თავის 25–ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები იყოფა შემდეგ ტიპებად:
ა) კვლევითი სამუშაოები, ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოები. უძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია; ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება.

ამავე კანონის 26–ე მუხლის თანახმად, უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა. შესაბამისად, საჭიროა შეთანხმდეს უძრავი ძეგლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ. თბილისში,დავით აღმაშენებლის გამზ ქ.N164–ში არსებული შენობა–ნაგებობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და მშნებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ვერ დააკმყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.